პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ნოემბერი, სამშაბათი 1988 წ.
№ 227 (9894) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



დავით ხახალეიშვილი

# დავით ხახალეიშვილი ევროპის ჩემპიონია

**ვენა.** იუნიორ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი აღმავლობით დაიწყეს. მაგრამ მერე და მერე დათმეს პოზიციები და სპეციალისტთა განცხადებით მოკრძალებულ შედეგს დასჯერდნენ. თუმცა ეს არ ითქმის საქართველოს წარმომადგენლებზე, რომლებმაც თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს.

ევროპის ჩემპიონი გახდა ქუთაისელი დინამოელი **დავით ხახალეიშვილი** (მწვრთნელი ომარ მეტაბიშვილი), რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მძიმე წონის ათლეტთა შორის. წარმატებით იასპარეზა ახმეტელმა **დავით ბაგაურმაც** („დინამო“). მას 86 კგ-ში ვერცხლის მედალი ერგო.

შეჯიბრების ბოლო დღეს ოქროს მედალი მოიპოვა კურგანელმა სერგეი კოლესნიკოვმა (65 კგ).

# ჩემპიონები — ვადამდე

**საბჭოთა** კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ვადამდე მოიპოვა გამარჯვებულის სახელი საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე. მან XII და XIII ტურებში ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხა დანიისა და ბულგარეთის გუნდები და 37 ქულა მოაგროვა. მისმა უშუალო კონკურენტმა ინგლისის ნაკრებმა XII ტურში ფრედ — 2:2 — დაამთავრა შეხვედრა ფილიპინების მოჭადრაკეებთან, მომდევნო დღეს კი უნგრეთის გუნდს სძლია — 3:1.

XIII ტურის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს 4 ქულით ჩამორჩებიან უნგრელები. იმ შემთხვევაში, თუ ბოლო, XIV ტურში, ჩვენი მოჭადრაკეები ანგარიშით 0:4 დამარცხდებიან, ხოლო უნგრელები ამავე ანგარიშით მოუგებენ მეტოქეს, ამ ორ კოლექტივს თანაბარი ქულები უგროვდებათ, მაგრამ ჩემპიონად მაინც საბჭოთა ნაკრები გამოცხადდება, ვინაიდან ამ ორი გუნდის პირად შეხვედრაში ჩვენმა დიდოსტატებმა იმარჯვეს.

**რაც** შეეხება ქალთა ტურნირს, აქ უფრო გამწვავდა სიტუაცია — XIII ტურის შემდეგ საბჭოთა და უნგრელ მოჭადრაკეებს 31-31 ქულა აქვთ და ყველაფერს ბოლო, XIV ტური გადაწყვეტს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ტურნირში გამარჯვებულად უნგრეთის გუნდი გამოცხადდება, ვინაიდან ამ ორი ნაკრების ერთმანეთთან შეხვედრაში უპირატესობა უნგრელებს ჰქონდათ.

XII ტურში საბჭოთა ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიელებს მოუგო — 2,5:0,5, XIII-ში კი კუბის გუნდს სძლია — 2:1. უნგრეთის ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით (2,5:0,5) დაამარცხა რუმინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები.

დაბოლოს, ლირიული გადახვევა — ოლიმპიადის მსვლელობის დროს ახალი ოჯახი შექმნეს თბილისელმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ და ამერიკელთა გუნდის კაპიტანმა ჯონ დონალდსონმა. ახლა ეს წყვილი საქორწინო მოგზაურობაშია. რა თქმა უნდა, მისალოცი ამბავია, მაგრამ... რა იქნებოდა ოლიმპიადის დამთავრებამდე მოეცადათ? — ორივენი, ხომ ასე სჭირდება თავიანთ კოლექტივებს.

# წარმატებაც ამას ჰქვია

**კრასნოიარსკი.** ახალგაზრდა ძიუდოისტთა (1967-1970 წწ. დაბადებულნი) საკავშირო პირველობაში წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებისა და უწყების ინტერესებს იცავდნენ. როცა საბოლოოდ შეჯამდა შედეგები, გამოირკვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ოცდაერთ მოჭიდავეს გუნდური პირველი ადგილი დაუკავებია. ეს, ცხადია, დიდი წარმატებაა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთის ფედერაცია ამ შეჯიბრებაში ოთხმოცზე მეტი ძიუდოისტით იყო წარმოდგენილი.

ბრწყინვალედ გამოვიდნენ საქართველოს წარგზავნილები პირად ასპარეზობაშიც. ჩემპიონები გახდნენ: 60 კგ-ში — ბადრი ბასილაშვილი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, საგარეჯო), 65 კგ-ში — გურამ მოდებაძე (ასკ, თბილისი), 78 კგ-ში — თამაზ ჭელიძე („დინამო“, სოხუმი) და მძიმეში — ზაზა დაბრუნდაშვილი („შრომითი რეზერვები“, თბილისი).

ზაზა დაბრუნდაშვილმა ძალა სცადა აბსოლუტურ კატეგორიაშიც და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედლები მიიღეს აგრეთვე 86 კგ-ში — ლერი ყორყოლიანმა (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), 95 კგ-ში მალხაზ დარჩიამ (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი). ეს უკანასკნელი მესამე პრიზიორი გახდა აბსოლუტურ კატეგორიაშიც.

ბრინჯაოს ჯილდო ერგო თბილისელ არმიელ ზურაბ ონიანსაც (71 კგ).

როგორც ხედავთ საქართველოს შვიდმა ძიუდოისტმა კრასნოიარსკიდან ცხრა სხვადასხვა ღირსების მედალი ჩამოიტანა.

# ოფიციალური ქრონიკა

**ფიდე-ს** გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც გაიმართა კვირას, 27 ნოემბერს, სალონიკში, საჭადრაკო ოლიმპიადის მსვლელობის დროს, საპატიო ტიტულები მიანიჭეს მოჭადრაკეთა ერთ ჯგუფს. საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთაგან საერთაშორისო დიდოსტატის მოწმობები გადაეცათ **ელიზბარ უბილავას, ზურაბ აზმაიფარაშვილს,** ვასილი ივანჩუკს, გრიგორი კაიდანოვსა და იური დოხოიანს.

**როგორც იცით, 30 ოქტომბერს „ლელოში“ გამოქვეყნდა საქართველოს სპორტული ნაგებობების რუკა. ამასთან, 1 ნოემბრიდან ჩვენმა გაზეთმა გამოაცხადა სპორტული ბაზების ეფექტიანად გამოყენების რესპუბლიკური დათვალიერება. რას აკეთებენ ადგილობრივი საბჭოები სპორტული ნაგებობების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში მათი ჩაყენების უზრუნველსაყოფად?**

**დათვალიერების მიმდინარეობასთან დაკავშირებით „ლელომ“ დაიწყო სპორტული ობიექტების შემოწმება.**

# ფიდე-ს ასამბლეაზე

მუშაობა დაამთავრა ფიდე-ს მორიგმა, 29-ე გენერალურმა ასამბლეამ, რომელზეც შეიქმნა ფიდე-ს ახალი კომისია — ჭადრაკის ესთეტიკის, რომელსაც სათავეში ჩაუდგება საერთაშორისო დიდოსტატი ედუარდ გუფელდი. პროფესორი ბორის გერშუნსკი (თბილისი) უხელმძღვანელებს მეორე კომისიის — „ჭადრაკი ყველასათვის“ ქვეკომიტეტს, რომლის ამოცანაა ჭადრაკის პროპაგანდა სხვადასხვა ბეჭდვითი გამომცემლობების საშუალებით. ამას გარდა ბაქოელი პროფესორი ჩაპაი სულთანოვი შევიდა ფიდე-ს კომიტეტში, რომელსაც „კომპიუტერი და ჭადრაკი“ ჰქვია.

განიხილეს აგრეთვე, სწრაფი, ანუ აქტიური ჭადრაკის პრობლემებიც. გადაწყდა, რომ გაიმართოს ეროვნული, საკონტინენტო და მსოფლიო პირველობები, რაც შეეხება თვით ამ თამაშის სახელწოდებას, იგი ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, ასამბლეის დელეგატებს მიაჩნიათ, რომ აქტიური ჭადრაკის საერთაშორისო დიდოსტატებსა და საერთაშორისო ოსტატებს სხვაგვარი სახელწოდება უნდა ჰქონდეთ.

## ტელეტაიპი — მკითხველი

**კოპენჰაგენი.** დანიის დედაქალაქში გამართულ მოკრივეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ოთხი პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ამდენივე — შეჯიბრების მასპინძლებმა, სამი — გდრ-ის წარმომადგენლებმა და ერთიც — ბულგარელებმა. საბჭოთა მოკრივეთაგან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: კემეროვოელი იური არბაჩაკოვი (51 კგ), ჯამბულელი ვადიმ პრისიაჟნიუკი (54 კგ), ლენინგრადელი სერგეი არტიომოვი (57 კგ) და ლენინაკანელი არტიომ ტერ-აკოფიანი (91 კგ).

**ობერჰოფი** (გდრ). ციგაობაში „სამი ტრასის ტურნეს“ პირველი ეტაპი ლენინგრადელმა იური ხარჩენკომ მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები იორგ ჰოფმანი და თომას იაკობი. ქალთა შორისაც სამივე პირველი ადგილი ამ ქვეყნის მოციგავეებს ხვდათ წილად.

**მაგდებურგი.** მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ბრასის სტილით 200-მეტრიანი დისტანცია იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონმა დანიელა ბრენდელმა მოიგო — 2.31,60. ოდესელმა იულია ბოგაჩოვამ მეორე შედეგი აჩვენა — 2.33,10.

**ვარშავა.** პოლონეთის ბადმინტონისტთა ღია ჩემპიონატში ირინა სეროვამ და სერგეი სევრიუკოვმა ფინალამდე მიაღწიეს და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავეს შერეულ წყვილთა შორის. ყველაზე ბევრი საპრიზო ადგილი სამხრეთკორეელ ბადმინტონისტებს ხვდათ.

**ტოკიო.** ფიგურისტთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის წინ იაპონიის დედაქალაქში გამართული საერთაშორისო ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასშტაბური შეჯიბრება გახლდათ. აი, სწორედ აქ საბჭოთა ფიგურისტებმა სამი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩავთვალოთ.

**ბერლინი.** მოციგურეთა მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე გდრ-ის სპორტსმენებმა საგულისხმო წარმატებებს მიაღწიეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა უვე-იენს მაიმ ხუთიდან სამი დისტანცია მოიგო. ქალთა ტურნირშიც ყველა პირველ ადგილზეც გდრ-ის წარმომადგენლებია.

**ტოკიო.** ქალთა საერთაშორისო მარათონი პორტუგალიელი აურორა უნიას დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა. დისტანცია მან 2:31.26-ში გაირბინა. საბჭოთა მარათონელთაგან საუკეთესო შედეგი (IV ადგილი) ზოია ივანოვამ აჩვენა — 2:33,26.

**ჰემპტონი** (აშშ). სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მეორე შეხვედრა მოუგო ადგილობრივ კლუბს „ოლდ დომინიონზ მონარკსს“ 95:86.

**მიუნხენი.** კალინინგრადელმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე ვოლკოვმა პირველი ადგილი დაიკავა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში. ფინალში მან იუგოსლაველი გორან პრპიჩს აჯობა — 6:4, 6:3.

# შეთანხმების ვადები იწურება

## ახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში

დეკემბრის მეორე ნახევარში, როგორც ადრე ვიუწყებოდით, თბილისი პირველად უმასპინძლებს სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატს ძიუდოში. ამ პოპულარულ შეჯიბრებაში მონაწილეობენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. ჩემპიონატისათვის მზადების ოპერატიული შტაბი შეახსენებს რესპუბლიკის იმ შრომითი კოლექტივებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელებს, რომლებსაც სურთ ზემოაღნიშნული ასპარეზობის სპონსორობა, თავიანთი პროდუქციის რეკლამირება ან ჩემპიონატის დღეებში ნაწარმის სარეალიზაციოდ გამოტანა, რომ წინასწარი შეთანხმების ვადები იწურება 5 დეკემბერს. ამ ვადის გასაგრძელებლად დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებას (წერეთლის გამზირი, მძლეოსნობის სასახლე).

### ყოველ სამშაბათს...

# რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული

### 22-28 ნოემბერი

მართალია, მინდინარე წლის სპორტული სეზონი, ასე ვთქვათ, შედარებით მიწყნარდა, მაგრამ დარჩა ზოგიერთი შეჯიბრებები, საიდანაც კვლავ მოდის სასიხარულო ცნობები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა წარმატებების შესახებ. ამ დღეებში დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო შეჯიბრება ჟურნალ „სოვეტსკიე პროფსოიუზის“ პრიზზე. ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს გორელმა ფალავნებმა ენგურ გოგიჩაშვილმა და მიხეილ ხუმრაძემ, რომლებიც ტურნირის გამარჯვებულთა შორის არიან.

არის სპორტის სახეობები, რომლის წარმომადგენელთა წარმატება განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს. ეს სპორტულ ტანვარჯიშზეც ითქმის. ტაშკენტში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში ტაიჭზე ვარჯიშში პირველი იყო თბილისის დინამოელი ემზარ ფუნთუშაშვილი, მანვე მეორე ადგილი დაიკავა ორძელზე ვარჯიშში. ასევე მეორე ადგილი ხვდა გუნდურ პირველობაშიც.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა წლევანდელი სეზონი. სასიხარულოს ვერაფრით ვერ ვუწოდებთ ამ გუნდის საბოლოო შედეგს. თუმცა, საკმაოდ შეშფოთებული ვიყავით, რადგან ჩვენ საყვარელ საფეხბურთო კოლექტივს უმაღლესი ლიგის დატოვება ემუქრებოდა. რედაქციაში კვლავ მოდის გულისწყრომის წერილები და მკითხველები მოითხოვენ აქედანვე გატარდეს რადიკალური ღონისძიებები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ზომებს, მისი სიმკაცრის მიუხედავად, რასაც „დინამოს“ ახლანდელი ხელმძღვანელობა იყენებს, ფეხბურთის გულშემატკივრები ობიექტურად აღიქვავენ, სჯერათ, რომ ეს მხოლოდ გუნდში კრიზისის დასაძლევად არის მიმართული. ჩვენი ფეხბურთის ქომაგები კვლავ გვიზიარებენ თავიანთ სიხარულს ქუთაისის „ტორპედოს“ პირველ ლიგაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

კალათბურთის გულშემატკივრების შეფასება ორად გაიყო იმ პუბლიკაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა და შეეხებოდა დინამოელთა კაპიტანს გელა დარსაძეს. ერთნი თუ იზიარებენ იმ აზრს, რომ ქართული სპორტის ღირსების შელახვა ადრინდელი დამსახურების მიუხედავად არავის ეპატიება, მეორენი გვიკიჟინებენ და გვკიცხავენ ასეთი სითამამისათვის, რასაც რედაქცია ვერ გაიზიარებს. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში შექმნილ არაჯანსაღ მდგომარეობაზე ვრცელი წერილი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა 27 ნოემბერს. მკითხველთა ერთი ნაწილი მოითხოვს გელა დარსაძე დაუბრუნდეს კალათბურთს, ოღონდ პრესის ფურცლებზე საჯაროდ აღიაროს თავისი შეცდომები.

დღევანდელი პუბლიკაციისათვის გამოვიყენეთ იმ წერილებში გამოთქმული აზრები, რომლებიც მოგვაწოდეს ბონდო ფიროსმანაშვილმა (წითელი წყარო, სოფელი გამარჯვება), უჩა გარუჩავამ (ცხაკაია), მარიკა ბერიაშვილმა (ქ. გორი), ნინო ჯიოშვილმა და ქეთინო ქერდიყოშვილმა (ორივე — გორის რაიონის სოფელი ატენი), მირიან ბასილაიამ (თბილისი), დომენტი გვალიამ (სოხუმი), ჯემალ მსხილაძემ (რუსთავი), პაატა გალდავამ (ზუგდიდი).

# წარმატება იწყება ჭიდაობით

**უახლოეს** წლებში რესპუბლი-კის შეემატება კიდევ ერთი საუ-კეთესო სპორტული ცენტრი — თბილისში აშენდება თანამედროვე საჭიდაო სასწავლო-საწვრთნელი კო-მპლექსი. ეს ნათქვამია სპორტის მა-ტერიალურ-ტექნიკური ბაზის გან-მტკიცების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა სა-ბჭოს მიერ მიღებულ დადგენილე-ბაში.

— ეს ჩვენი რესპუბლიკის ყვე-ლა თაობის ქართველ მოჭიდავეთა წვლილის აღიარებაცაა, — თქვა საქართველოს სპორტსახკომის თა-ვმჯდომარის მოადგილემ რევაზ აიწურაძემ. — მრავალი მათგანის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა



მსოფლიო სპორტის მატიანეში. მოვუხმოთ სტატისტიკას: ყველა სახეობის ჭიდაობის მსოფლიო ჩე-მპიონატებში ჩვენმა სპორტსმენე-ბმა მოიპოვეს 77 ჯილდო, რომე-ლთაგან 43 ოქროსია, ორმოცდახ-უთჯერ გამოაცხადეს ისინი ევრო-პის, 239-ჯერ — ქვეყნის უძლი-ერეს მოჭიდავეებად, მნიშვნელოვა-ნი წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა ფალავნებმა ოლიმპიურ ასპარეზო-ბებშიც. ქართველმა თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავ-ეებმა და ძიუდოისტებმა ერთად მოიპოვეს ოცდაცამეტი ჯილდო. თორმეტჯერ აჟღერდა მათ პატივ-საცემად საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

**⊙ მაგრამ 1988 წლის ასპარეზო-ბებზე ქართველ მოჭიდავეთა გა-მოსვლა ალბათ ერთი საზომით ვერ შეფასდება.**

— გამოგიტყდებით, მეც ამას ვფიქრობ. გაგვახარა გობეჯიშვილ-ის ბრწყინვალე გამარჯვებამ, დიდი მნიშვნელობა აქვს ლერი ხაბელო-ვის „ვერცხლს“, ამირან ტოტიკა-შვილისა და გიორგი თენაძის ბრი-ნჯაოს მედლებს. მაგრამ, მოდით, გულახდილნი ვიყოთ ბოლომდე: ყველას იმედი გვქონდა, რომ ჩე-მპიონობას მოიპოვებდა ხაბელოვი, რომელსაც სამისოდ ყვე-ლა თვისება აქვს, მეტს ველ-ოდით გურამ გედეხაურისაგან. სა-მწუხაროდ, ყველა იმედი როდი გა-გვიმართლდა. მოსკოვის 1980 წლის ასპარეზობაზე ჩვენს რესპუბლიკას სამი მოჭიდავე წარმოადგენდა. სე-ულში ორით მეტი გაემგზავრა.

**⊙ მოწმობს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენთან, ჭიდაობის განვითა-რებაში თვისებრივი ძვრა შეინიშ-ნება.**

— ჯერ კიდევ ცოტა ხნის წი-ნათ სრულიად სამართლიანად გვე-სმოდა საყვედურები ჩვენი მოჭი-დავეების, განსაკუთრებით თავისუ-ფალი სტილის წარმომადგენელთა მიმართ, რომლებმაც დაკარგეს სა-ერთაშორისო ავტორიტეტი. სპორ-ტიდან ლევან თედიაშვილის წას-ვლის შემდეგ გაჩნდა ვაკუუმი, რო-მლის შესავსებად ბევრი დრო და ძალ-ღონე დაიხარჯა. საქმე ნელ-ნელა გამოსწორდა, მაგრამ იმ დროს პოზიციები თანდათან დათმეს ჩვენმა კლასიკური სტი-ლით მოჭიდავეებმა — ძირი-თადად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მწვრთნელთა ართურმის გამო. მაინც დავაღწიეთ თავი ძნელ მდგომარეობას და ახლა ჭიდაობის ყველა სახეობაში ნაკრებ გუნდებს სათავეში უდგანან გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები.

ბოლო დროს საერთო ძალებით შევძელით გადაგვეწყვიტა ბევრი პრობლემა, ამას მოწმობს დამთა-ვრებული სპორტული სეზონის შე-დეგებიც. ყველა რანგის ოფიცია-ლურ საკავშირო და საერთაშორი-სო ტურნირებში ქართველმა ფა-ლავნებმა მოიპოვეს 136 ჯილდო. განსაკუთრებით სიამოვნებით აღ-ვნიშნავ, რომ ჭაბუკთა მეორე სა-კავშირო ასპარეზობაზე ჩვენმა სპო-რტსმენებმა საერთო ანგარიშით მო-იპოვეს 19 ოქროს მედალი, რომე-ლთაგან თორმეტი მოჭიდავეებს ეკუთვნით, ვფიქრობ, ეს მეტყველ-ებს რეზერვების მომზადების აწ-ყობილ სისტემაზე. სასიხარულოა ისიც, რომ მრავალი წლის შემდეგ რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა თა-ვისუფალ ჭიდაობაში მოიპოვა სსრ კავშირის თასი.

რესპუბლიკის ყველა სპორტუ-ლი ორგანიზაციის ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანესი ამოცანა გახლავთ ქართული ჭიდაობის აღორძინება. ნახეთ, როგორი პოპულარობით სარგებლობს ტრადიციად ქცეული რესპუბლიკური შეჯიბრებები ჭი-დაობაში სოფლის ათლეტთა შო-რის, რომლებიც ეწყობა რესპუბ-ლიკის სპორტსახკომისა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიცია-ტივით. ამ მასობრივი შეჯიბრებე-ბის მეოხებით სოფლებში გამოცო-ცხლდა სპორტული ცხოვრება, სპო-რტულ სკოლებს კი შეემატნენ პე-რსპექტიული ბავშვები. ბევრი სა-ჭიდაო სარბიელი გაჩნდა მრავალ რაიონში, აგრეთვე თბილისშიც. დიდ ინიციატივას იჩენს ამ მნიშვნელოვან საქმეში ლენინის რაიონის ხელმძ-ღვანელობა.

**⊙ მუდამ სასიამოვნოა წარმატე-ბებზე ლაპარაკი. მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს სპორტულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი გადასაჭრელი პრობლემა აქვთ.**

— ეს პრობლემები, მართლაც, საკმაოზე მეტია, ის, რაც უკვე გა-კეთდა, ზღვაში წვეთია. უწინარეს ყოვლისა, დიდი მუშაობა გველის ჭიდაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. აქ ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ბევრ მოკავშირე რესპუბლიკას. საქართ-ველოში არ არის არც ერთი სრუ-ლფასოვანი სპეციალიზებული სას-წავლო-საწვრთნელი ცენტრი, ურ-ომლისოდაც, თუ თანამედროვე მო-თხოვნებს გავითვალისწინებთ, ძა-ლზე ძნელია მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადება. მარტო თბილისში 21 საჭიდაო დარბაზია, მაგრამ ვერც ერთი ვერ აკმაყოფი-ლებს სპორტსმენთათვის საჭირო მი-ნიმალურ პირობებს. თუ ასეთი მძი-მე მდგომარეობაა დედაქალაქში, რაღა უნდა ვთქვათ პერიფერიებზე. არ გვაქვს სრულფასოვანი მატერი-



ალურ-ტექნიკური ბაზა ისეთ სა-ჭიდაო ცენტრში, როგორიც არის გორი. ანალოგიური ვითარება შე-იქმნა ქუთაისში, აჭარაში...

**⊙ ბოლო დროს პოზიციები და-თმეს კახეთის მოჭიდავეებმა. რით აიხსნება ეს?**

— საქართველოში ხუთი ოლიმ-



პიური ჩემპიონია თავისუფალ ჭი-დაობაში. ოთხი მათგანი კახეთის მკვიდრია. მაგრამ ყველა ეს წარ-მატება წინათ მოვიპოვეთ. მიზეზი რამდენიმეა. მათ შორის კი მთავა-რია სუსტი ორგანიზაციული მუშა-ობა, ამ რეგიონში თანამედროვე ბაზების უქონლობა. რამდენიმე წლის წინათ საგარეჯოში მწყობრში ჩადგა საჭიდაო დარბაზი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი არ თბება, არა აქვს ცივი და ცხე-ლი წყალი. ამ პრობლემის გადასა-ჭრელად არავითარ ღონეს არ ხმა-რობს ადგილობრივი ხელისუფლება. არც გურჯაანში და სიღნაღშია უკეთ საქმე. მართალია, ახმეტაში ცოტა უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ სა-ერთოდ ეს „ამინდს“ არ ქმნის. უა-ხლოეს დროში ეს პრობლემა შე-იძლება ნაწილობრივ გადაიჭრას. ვაპირებთ თელავის პროფტექნიკუ-რი სასწავლებლის ბაზაზე გავხ-



სნათ სპორტული პროფილის სკო-ლა-ინტერნატი, რომელშიც გაერთ-იანებული იქნება მთელი დიდი რე-გიონის პერსპექტიული ახალგაზრ-დობა. სხვათა შორის, ამასწინათ, ჩვენმა სახელოვანმა ვეტერანებმა იკისრეს რესპუბლიკის რაიონები-სადმი შეფობა: ლევან თედიაშვი-ლმა — საგარეჯოს და გურჯაანის რაიონების, ვახტანგ ბალავაძემ — სამტრედიის რაიონისა და ქალაქ ქუთაისისა, გურამ საღარაძემ — გორის, ამბროლაურისა და ონის რაიონებისა... ჩვენი სახელგანთქმუ-ლი ფალავნების გამოცდილებამ, ავტორიტეტმა და ცოდნამ ხელი უნდა შეუწყოს ჭიდაობის შემდგომ პროგრესს.

პრობლემის გადაჭრას ერთგვარად ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სა-მბოს ფედერაციის თავმჯდომარის ი. ქევხიშვილის საინტერესო წინა-დადებაც: საცხოვრებელი შენობე-ბის პირველ სართულზე დაპროექ-ტდეს სპორტული დარბაზები.

**⊙ როდისთვისაა დაგეგმილი თბილისის ახალი საჭიდაო კომპლ-ექსის მშენებლობა?**

— გეგმის მიხედვით იგი მწყობ-რში უნდა ჩადგეს 1993 წელს. ეს უნდა იყოს შენობა თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, ძიუდოსა და სამბოს ვრცელი საწვრთნელი დარბაზებით, რომლებიც აღჭურვი-ლი იქნება ყველა საჭირო თანამე-დროვე ინვენტარით.

**საუბარი ჩაიწერა**
**შ. შალოლაშვილმა,**
**საქინფორმის კორ.**

# დავიცვათ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპები

**უკანასკნელ** დღეებში დედა-ქალაქში მძიმე მდგომარეობა შე-იქმნა. რესპუბლიკის მთავრობის სა-ხლის წინ კვლავ გრძელდება ცა-ლკეულ პირთა მიერ მოწყობილი არასანქცირებული მიტინგი, არის საზოგადოებრივი წესრიგის დარ-ღვევის შემთხვევები, იმის ცდებიც, რომ მიტინგის მონაწილეებს შეუ-ერთდეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებლები. ეს მოქმედება არღვევს ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ხელს უშლის საწარმოების, ორგანიზაციების, სა-სწავლო დაწესებულებების მუშაო-ბას. შეუწყნარებლად ფერხდება ტრანსპორტის მოძრაობა. ყოველივე აღნიშნული მოსახლეობის სამართ-ლიან უკმაყოფილებას იწვევს. მშრომელები კატეგორიულად მოი-თხოვენ აღიკვეთოს ეს არანორმა-ლური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ მიტინ-გის ორგანიზატორთა მოქმედებაში აშკარად გამოხატულია სისხლის სა-მართლის დანაშაულის ნიშნები, რე-სპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები იჩენენ მაქსიმალურ ჰუ-მანურობას. სამართალდამცავი ორ-განოების ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის მოთხოვნათა გათვალი-სწინებით, მოთმინებით. გონივრუ-ლად ვცდილობდით და ვცდილობთ ავიცდინოთ სიტუაციის კიდევ უფ-რო გართულება.

როგორც საქართველოს სსრ პრო-კურორი, რესპუბლიკაში კანონიერე-ბის განხორციელების ზედამხედვე-ლი, ჩემს მოვალეობად ვთვლი მო-ვუწოდო მიტინგების ყველა მონა-წილეს, დაუყოვნებლივ გამოიტანონ სათანადო დასკვნები რესპუბლიკის ინტელიგენციის, სამართალდამცვი-თი ორგანოების წარმომადგენელთა მიმართვებიდან: აღკვეთონ საზოგა-დოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტი, საშუალება მისცენ წარმო-ება-დაწესებულებებს, ტრანსპორ-ტის ნორმალური მუშაობისათვის.

დაე, ჩემი ეს მომართვა იყოს ოფიციალური გაფრთხილება ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც აგრ-ძელებს კანონის მოთხოვნათა დარ-ღვევას, აშკარად არ ემორჩილება საზოგადოებრივი წესრიგის დამც-ველთა მოთხოვნებს და ქმნის და-ძაბულობას დედაქალაქში.

თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდე-ბა ზემოთ მითითებული კანონსა-წინააღმდეგო ქმედობანი, თავისთა-ვად ცხადია, დაისმება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ორგანიზაცია გაუწია ჯგუფურ მო-ქმედებას, რომელიც არღვევს სა-ზოგადოებრივ წესრიგს და შეურა-ცხყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ წყობილებას.

**ვ. რაზმაძე,**
**საქართველოს სსრ პროკურორი.**
**(საქინფორმი).**

# 22-ე საერთაშორისო...

**გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე**

**ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, თბილისში, „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში სტარტს იღებს ხელბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერ-თაშორისო ტურნირი. ამ რიგით, 22-ე ასპარეზობაში გამოვლენ სსრ კავშირის პირველი და მეორე (ახალგაზრდული) ნაკრები, საქართვე-ლოს, პოლონეთის, ესპანეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები. გთავაზობთ შეჯიბრების კალენდარს:**

**ოთხშაბათი, 30 ნოემბერი**

16.30 — სსრკ-I — სსრკ-II
18.00 — პოლონეთი — ესპანეთი
19.30. — შეჯიბრების საზეიმო გახსნა.

**ხუთშაბათი, 1 დეკემბერი**

16.30 — გფრ — პოლონეთი
18.00 — სსრკ-II — ესპანეთი
19.30 — სსრკ-I — საქართველო.

**პარასკევი, 2 დეკემბერი**

16.30 — ესპანეთი — გფრ
18.00 — სსრკ-I — პოლონეთი
19.30 — საქართველო—სსრკ-II

**შაბათი, 3 დეკემბერი**

12.00 — სსრკ-II — გფრ
13.30 — სსრკ-I — ესპანეთი
15.00 — საქართველო — პო-ლონეთი

**კვირა, 4 დეკემბერი**

12.00 სსრკ-II — პოლონეთი
13.30 — სსრკ--I — გფრ
15.30 — ესპანეთი — საქართველო.

# გო-ს პირველი გამარჯვებულნი

**ჩვენს** რესპუბლიკაში თანდათან პოპულარული ხდება იაპონური შაშის გო-ს თამაში.

თბილისის საბინაო სამმართველოს ინიციატივით კალინინის რაიონში (გრიბოედოვის ქ. №20) შექმნილია გო-ს შემსწავლელი ჯგუფი, სადაც ამ ახალი თამაშის საიდუმლოებას რაიონის მოსწავლე ახალგაზრდე-ბი ინტერესით ეუფლებიან.

ახლახან ჩატარდა (წრიული სი-სტემით) რაიონის პირველობა, რო-მელშიც 16 მოსწავლე იბრძოდა. 15 შესაძლებლიდან 43 ქულით პი-რველობა არავის დაუთმო 44-ე სა-შუალო სკოლის VII კლასის მო-სწავლემ ოთარ ბერიტაშვილმა. 12 ქულით II ადგილი წილად ხვდა თბილისის №1 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს გია ფო-ნაძეს. შემდეგ მოდიან: III-IV. გი-ორგი ცაგარეიშვილი, ნიკო სეთუ-რიძე — 11-11, V. ლანა აუშტროვა — 10.

ნავარაუდევია დეკემბერში ჩატა-რდეს თბილისის პირველი პირადი პირველობა გო-ში, სადაც ხუთივე მოსწავლე გამოვა.

აღსანიშნავია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ჩეხოსლოვაკიაში დამთავრდა ევროპის 30-ე გუნდური პირვე-ლობა გო-ში, სადაც ჩემპიონობა საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა.

**ვლადიმერ კანდელაკი.**

**სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში**

# ფინალს მიღმა დარჩნენ

თბილისსა და მოსკოვში, კვირას და ორშაბათს, გაიმართა წყალბურ-თელთა საკავშირო თასის გათამა-შების ნახევარფინალური შეხვედ-რები. თბილისში ჩვენი „დინამოს“ გარდა გამოდიოდნენ მათი ალმაა-თელი და ლვოველი თანაკლუბელე-ბი, აგრეთვე მოსკოვის ცსკა-ს წყა-ლბურთელები. მოსკოვში ასპარე-ზობდნენ ადგილობრივი „დინა-მოს“ „მოსკვიჩის“, „უნივერსიტე-ტისა“ და სევასტოპოლის შწფ-ს გუნდები.

**თბილისი. საქართველოს სპორტ-სახკომის სპორტკომბინატის ზამ-თრის საცურაო აუზი.**

**„დინამო“ (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი) 8:13 (1:3, 3:3, 0:3, 4:4).**

**„დინამო“: კერესელიძე, ლიპა-რტელიანი, ბალათურია, გვახარია, კუტივაძე, კანდელაკი, გობეჯიშვი-ლი; გიორგაძე, ბითაძე, ნიკოლაი-შვილი, ჩოლარია, მაჭავარიანი.**

**ცსკა: სერგეევი, ვდოვინი, მაქ-სიმოვი, კოლოტოვი, გორშკოვი, სე-მიონოვი, კლეიმენოვი; ბოიკო, გო-რშკოვი, ობოდკოვი, მარკოჩი, კორ-ბუტოვი.**

ცსკ-ის წყალბურთელთა თქმით, მათი ეგრეთწოდებული უხერხული მეტოქე სწორედ თბილისელები არი-ან. მართლაც ამ გუნდების შეხვე-დრა, ჩვეულებრივ, ყოველთვის, დიდი დაძაბულობით გამოირჩევა.

სამწუხაროდ, ახლანდელ მატჩში თბილისელები არც სრული საბრძო-ლო შემადგენლობით გამოსულან და არც საბრძოლო შემართებით. ავადმყოფობის გამო გუნდში არ იყო ძირითადი მეკარე გიორგაძე და არც მისი დუბლიორი ტუკვაძე. სარბიე-ლზე ვერც რამიშვილი და ზუმ-ბულიძე ვიხილეთ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მასპინძელთათვის უდიდესი დანაკლისი იყო. ამასთან, თბილისელები ამ ნახევარფინალუ-რი შეხვედრებისთვის სერიოზულად არც მომზადებულან. როგორც გუ-ნდის უფროსმა მწვრთნელმა ირა-კლი ჩხიკვაძემ გვითხრა, მათ ფინა-ლში გასვლის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდათ და საბრძოლველად თავი არც გამოუდვიათ. ამიტომ მატჩი მეტად უფერული გამოდგა.

თანაბარი ბრძოლა მხოლოდ მე-ორე და მეოთხე პერიოდში იყო. თუმცა, ეს იმდენად მასპინძელთა მონდომებით კი არა, სტუმართა შე-დარებითი პასიურობით უფრო აიხ-სნება. მოსკოველები მალე დარწ-მუნდნენ, რომ შეხვედრას იოლად მოიგებდნენ და დროდადრო თავს უფლებას აძლევდნენ ინერტულად ეთამაშათ. მიუხედავად ამისა, მათ 5 ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს.

თბილისელთაგან ბურთები გაი-ტანეს: ბითაძემ (3), ბალათურიამ, ჩოლარიამ, ლიპარტელიანმა, კუტი-ვაძემ, კანდელაკმა; სტუმართაგან — ვდოვინმა (5), მაქსიმოვმა (3), კორბუტოვმა (4), კოლოტოვმა.

გუშინ თბილისელები ალმაათელ თანაკლუბელებთან დამარცხდნენ (10:13) და ფინალს მიღმა დარჩნენ.

**ავთანდილ ზურაბაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპიტანთა კაპიტანი

**ამ კაცს არც ოლიმპიური მედალი აქვს, არც ევროპის ჩემპიონისა და არც საკავშირო „ოქრო“. მას მშობლიური კლუბის არცერთი, ასე ვთქვათ, შინაური რეკორდიც კი არ ეკუთვნის — ყველაზე მეტი ჩატარებული მატჩისა, ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელისა თუ სხვა. და მაინც, ბორის პაიჭაძეს ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ ჩემპიონად და, თუ გნებავთ, რეკორდსმენად (გულშემატკივართა სიყვარულის!) ვთვლით — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ, მის „კაპიტანთა კაპიტნად“...**

მოგეხსენებათ, პაიჭაძის დროს ჩვენი ფეხბურთი, ჯერ კიდევ არ იყო გასული ფართო საერთაშორისო ასპარეზზე. იგი, ასე ვთქვათ, „საკუთარ წვენში იხარშებოდა“ და შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებდა ამხანაგურ მატჩებს — ბასკებთან, ირანელებთან, რუმინელებთან, იუგოსლაველებთან...

არა გვგონია, რომელიმე სხვა ფეხბურთელს მოეტანოს ჩვენთვის, სტადიონის პირთამდე სავსე ტრიბუნებისათვის, იმდენი სიხარული და სასიამოვნო წუთი, რამდენიც ეს ბორის პაიჭაძემ შეძლო. დარწმუნებული ვართ, რომ ხალხის ამ ჭეშმარიტ სიყვარულსა და აღიარებას ვერავითარი ოქრო-ვერცხლის მედალი ვერ შეცვლის.

აკი ამიტომაც ვიხილეთ ფეხბურთის უბადლო ჯადოქარი ბორის პაიჭაძე მოხეიმე, რიგით მეათე თბილისობაზე საპატიო მოქალაქეთა შორის. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. დიახ, მსახიობებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მწერლებს, მშენებლებს — დედა-თბილისის საპატიო მოქალაქეებს — ბევრჯერ მისალმებია საქართველოს დედაქალაქი. აი, სპორტსმენს კი, მანამდე არასოდეს რგებია ესოდენ დიდი პატივი. ამიერიდან მათ რიცხვში (სულ 58) სპორტსმენიც არის — ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი და კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე.

...ჩვენ მას ისევ მშობლიურ სტადიონზე — ქართული სპორტის ამ ჭეშმარიტ მექაში — შევხვდით იქ, სადაც თავის დროზე ასე ბრწყინავდა დინამოელთა ლიდერი ბორის პაიჭაძე, იქ, რომლის მწვანე მინდორს თითქოს დღესაც ამჩნევია ტყავის ბურთის დიდოსტატის ნატერფალი.

პაიჭაძეზე იმდენი თქმულა და დაწერილა, ძნელიცაა რაიმე ახალი თქვა. და მაინც, გადავწყვიტეთ გვესაუბრა იმაზე, რაც ჯერ არ თქმულა.

საუბარი ძველი, დღეს უკვე უნიკალური საფეხბურთო ცნობარების, პროგრამებისა და ფოტოსურათების გადათვალიერებით დავიწყეთ. ბატონი ბორისი ყურადღებით, რაღაც თავისებური, „კაპიტნური“ ზრუნვითა და სიყვარულით ჩასცქეროდა ყოფილ თანაგუნდელთა სახეებს, ხშირ-ხშირად ღრმა სინანულით აღმოხდებოდა ხოლმე: „საწყალი ვოვა“, „საწყალი არჩილი“, „საწყალი მიშა“, „საწყალი სპარტაკი“, „საწყალი ბასა“... ეჰ, ნახევარზე მეტი ცოცხალი აღარ არის, მუდამ გული მეთუთქება მათ გახსენებაზე!“

ბოლოს, 1939 წელს გამოცემულ თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის ბუკლეტში თავის სურათს დახედა, ხმამაღლა ამოიკითხა: „ბორის პაიჭაძე, ცენტრალური თავდამსხმელი, 24 წლის, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ფეხბურთს თამაშობს 7 წელია, ბასკთა ნაკრებ გუნდთან შეხვედრის მონაწილე“...

— ნუთუ ოდესმე 24 წლისა ვიყავი! — ჯერ თვალები გაუბრწყინდა, შემდეგ მზერაში ნაღველი ჩაეღვარა, ვინ იცის რა გაახსენდა.

ამასწინათ ვიღაცამ გვითხრა, პაიჭაძე სტადიონიდან რომ წავიდა... „საკუთარი განცხადებით“, მაინც ვერ ძლებდა „დინამოს“ გარეშე, ხშირ-ხშირად აუვლ-ჩაუვლიდა ნაცნობ რკინის ღობეს ტელმანის ქუჩაზე, თვალს მოავლებდა ტრიბუნებს, მინდორს. არ ვიცით... ვერ შევბედეთ ამ საკითხზე საუბარი და კითხვები სულ „სხვა სფეროდან“ დავუსვით.

**⊙ გვახსოვს, ომის შემდეგ (მგონი 1946 წლის გაზაფხულზე) ქვეყნის ნაკრები შედგა, თბილისში ვარჯიშობდა. თქვენ და ფედოტოვიც იყავით...**



**„ცეკვა ქართული“ — მხატვარ ვლადიმერ ფომიჩოვის მეგობრული შარჟი ბორის პაიჭაძეზე იუმორისტული კრებულიდან „ბურთის ირგვლივ“.**

— ...და კიდევ პონომარიოვი, ბესკოვი, ბობროვი, ტროფიმოვი, ნიკოლაევი, გრინინი, დიომინი, ხომიჩი, სერგეი სოლოვიოვიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს. ბორის არკადიევი გვავარჯიშებდა, საფრანგეთში გასამგზავრებლად ვემზადებოდით, მაგრამ მოულოდნელად უარი გვითხრეს და ნაკრებიც დაიშალა.

**⊙ ამ გახსენებაზე, მაინც ვის თვლით ძველი პლეადიდან საუკეთესო ფეხბურთელად?**

— ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეები ყველანი ტყავის ბურთის ნამდვილი დიდოსტატები იყვნენ, მაგრამ მათში მაინც გრიგორი ფედოტოვს გამოვყოფ.

**⊙ ხომიჩი ვახსენეთ, სხვა კიდევ რომელ მეკარეს გაიხსენებდით?**

— აკიმოვს, ჟმელკოვს, ნიკანოროვს, ლეონიდ ივანოვს, ჩვენს დოროხოვს. შურასნაირი მეკარე თბილისის „დინამოში“ კი არა, მთელს ამიერკავკასიაში არ ყოფილა. აქვე მინდა გავიხსენო დინამოელები სოლონინი, ტყებუჩავა, მარღანია, სანაია, შუდრა.

**⊙ იქნებ თბილისის „დინამოს“ ყველა დროის საუკეთესო გუნდის შემადგენლობა („დუბლ-ვე“-ს სქემით) დაგვისახელოთ.**

— დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ფროლოვი, ფეხლევანიდი, ნაუმცევი, სალდაძე, ელოშვილი, ძიაპშიპა, სარჯველაძე, თორაძე, ჩოხელი, ხურცილავა, ჩივაძე... (განზრახულიდან არაფერი გამოგვივიდა). დინამოელთა გუნდში იმდენი პირველხარისხოვანი მცველი „დაგვიგროვდა“, რომ უძლიერესი სამეული ვერაფრით დავადგინეთ. ასევე იყო ნახევარდაცვისა და, განსაკუთრებით, თავდასხმის ხაზებში. ჩანაფიქრზე ხელი ავიღეთ.

**⊙ მწვრთნელთაგან ვის აღნიშნავთ?**

— იაკუშინს, არკადიევს, ბუტუსოვს, თბილისელებს ჟორდანიასა და ვალპერინს.

**⊙ გუნდიდან?..**

— ბასკთა ნაკრების მსგავსი მე არა მინახავს-რა. ლანგარა, ლუის რეგეირო, გოროსტიცა, ალონსო, სილაურენი, ეჩებარია, პლასკო ფეხბურთის ნამდვილი ჯადოქრები იყვნენ.

**⊙ თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი...**

— 1939 წელს თბილისში ცდკასთან შეხვედრა. პირველი ტაიმი 1:4 წავაგეთ, მაგრამ საბოლოოდ გავიმარჯვეთ 5:4. ამ შეხვედრაში ჩვენმა მწვრთნელმა მიხეილ ბუტუსოვმა პირველად გვათამაშა მის მიერ დამუშავებული თავდასხმაში მოთამაშეთა სწრაფი ცვლის, ეგრეთ წოდებული, „მოხეტიალე თავდამსხმელის“ ვარიანტი, რომელსაც გაიოზ ჯეჯელავა, ასლან ტყებუჩავა და მე ვანხორციელებდით.

**⊙ ცნობილია, რომ თავდამსხმელი ბორის პაიჭაძე არ გამოირჩეოდა თავით თამაშში, რა იყო ამის მიზეზი?**

— ფეხბურთი მაინც ფეხით თამაშია და მერე... დაცვა მიშლიდა ხელს! ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ისე კი დაბალი ან საშუალო ტანის ფეხბურთელს, თუ მას განსაკუთრებული ნახტომი არა აქვს, უჭირს „მეორე სართულზე“ თამაში. აბა როგორ მოვუგებდი საჰაერო ბრძოლას მაღალი ტანის მცველებს — ვასილი სოკოლოვს, ანდრეი სტაროსტინს, კონსტანტინე კრიჟევსკის, არკადი ჩერნიშოვს... ერთხელ კი მაინც „იძულებული“ ვიყავი თავით გამეტანა გოლი. „დაუგავასთან“ შეხვედრაში თოდრიამ მარცხნიდან ჩამოაწოდა ბურთი, ფეხით ვერ ვასწრებდი შეხებას და თავური დარტყმით ვარდნაში გავგზავნე იგი კარში.

**⊙ ერთხელ, მგონი, პირდაპირ კუთხურიდან შეაგდეთ ბურთი. დათუნაშვილის გოლი 1964 წლის ტაშკენტის „ოქროს“ მატჩიდან ყველას ახსოვს, აი, თქვენი დარტყმა კი...**

— ეს ომის შემდეგ იყო, აკიმოვის კარში. იგი მაშინ მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა. კუთხურს მარცხნიდან ვაწვდიდი, ბურთი მოჭრილად დავარტყი, აი, ისე ბილიარდში რომაა „ეფე“. აკიმოვი წინა შტანგასთან გამოვიდა მის მოსაგერიებლად, ბურთმა კი უცებ მეკარის თვალწინ, წრე შემოხაზა და კარის ბადეში გაეხვია.

**⊙ ომის შემდეგ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ ქვეყნის საუკეთესო თავდამსხმელთა შორის ჩაატარა გამოკითხვა — „თქვენი საყვარელი დარტყმა?“.. რას იტყვით ამის თაობაზე?**

— თუ ნამდვილი ფეხბურთელი ხარ, ყველა ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენებას უნდა ცდილობდე, ყველა მდგომარეობიდან უნდა შეგეძლოს ბურთის გაგზავნა ბადეში, თუ არა, კარის მიმართულებით მაინც.

**⊙ რუმინეთში „ფეხბურთის კარუზო“ გიწოდეს...**

— ალბათ იმიტომ... „კარგი ხმა“ რომ მაქვს. მეგობრები ხუმრობენ, ბორიას ოთხი ხმა გააჩნიაო: — კრიმანჭულიდან... ხრინწიანამდე. ისე კი ზემოხსენებული სახელი თბილისის „დინამოს“ რუმინეთში 1945 წლის ტურნეს დროს მიწოდა ერთ-ერთმა გაზეთმა. ცხადია, ეს ჩემთვის დიდი პატივი გახლავთ. ისე ჟურნალისტებს ფანტაზიაში ვერ დაესესხები: კიდევ კარგი თვითონ კარუზოს „სიმღერის პაიჭაძე“ არ უწოდეს...

**⊙ სამ ფილმში გიხილეთ სხვადასხვა დროს: ...რევაზ ჩხეიძის „ბორის პაიჭაძეში“, ნანა მჭედლიძის „პირველ მერცხალში“ და, სულ ახლახან, ალექსანდრე ელენტის „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთში“. თმები მთლად გაჭაღარავებიათ 78 წლის კაცს. გული ხომ არ „გაჭაღარავებია“ ჩვენს ბორის პაიჭაძეს?**

— არავითარ შემთხვევაში. ექვსი შვილიშვილი მყავს და თითოეული ცალ-ცალკე გავაფრთხილე: არ გავიგონო ქუჩაში ბაბუა დამიძახო!

**ოთარ ნოზაძე.**



სახელგანთქმული კაპიტნების ორთაბრძოლა — მოსკოვის სპარტაკელი ვასილი სოკოლოვი (მარცხნივ) და თბილისის დინამოელი ბორის პაიჭაძე. სურათი გადაღებულია მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

**ფეხბურთი**

# კიდევ ერთი ჯილდო

**დიდი** ფეხბურთის კიდევ ერთი პრიზი გადაეცა მის მფლობელს. კიევის საქალაქო გაზეთმა „პრაპორ კომუნიზმუმ“ 1986 წელს დააწესა პრიზი „კლუბის ერთგულება“. ამ პრიზით აჯილდოებენ ფეხბურთელს, რომელიც საკავშირო ჩემპიონატების ყველაზე მეტ მატჩს ჩაატარებს ერთი კლუბის შემადგენლობაში.

პრიზის პირველი მფლობელი იყო კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ოლეგ ბლოხინი, რომელმაც ამ კლუბში 412 მატჩი ჩაატარა. მომდევნო წელს ჯილდო გადაეცა დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელს მიხეილ სოკოლოვსკის (400 მატჩი).

წლეულს ეს ჯილდო ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველს ვლადიმერ პლოსკინას გადაეცა. იგი 14 წელია ამ კლუბში გამოდის და საკავშირო ჩემპიონატებში 370 მატჩი ჩაატარა.

# პრიზი — ბათუმელ ჭაბუკებს

**ბათუმში** მოეწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჭინჭარაძის პრიზზე. შეხვედრებს ბათუმისა და ქობულეთის სტადიონები მასპინძლობდნენ.

მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ, პირველში გამოდიოდნენ ბათუმის „დინამო“, ქ. რიზეს „რიზე სპორი“ (თურქეთი) და ქ. ლოძის „ლკს“ (პოლონეთი); მეორე ქვეჯგუფში — თბილისის „დინამო“, მოსკოვის „დინამო“ და ქ. ბლაგოევგრადის „პირინი“ (ბულგარეთი).

ბათუმელებმა დაამარცხეს „რიზე სპორი“ (4:2), „ლკს“ (2:0) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მეორე ქვეჯგუფში ეს უფლება წილად ხვდათ თბილისელ ჭაბუკებს, რომლებმაც დაამარცხეს მოსკოველი თანაკლუბელები (3:2) და ფრედ ითამაშეს „პირინთან“ — 1:1. ასევე ფრედ — 2:2 დამთავრდა „პირინისა“ და მოსკოვის დინამოელთა მატჩი.

ფინალური მატჩი თავსხმა წვიმაში გაიმართა, ამიტომაც მას არ ჰყავდა ბევრი მაყურებელი.

ბათუმელებმა ალღო აუღეს მძიმე სათამაშო პირობებს და მათი უპირატესობა გადამწყვეტი აღმოჩნდა: მამუკა ჯიჯავაძის ორმა „მშრალმა“ გოლმა ტურნირის გამარჯვებულად და ი. ჭინჭარაძის პრიზის მფლობელად დაასახელა ბათუმელი ჭაბუკები — 2:0. (მწვრთნელი მ. ჯორბენაძე). სხვათა შორის, მ. ჯიჯავაძე ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს, მან 3 მატჩში 6 გოლი გაიტანა, ხოლო თურქ თანატოლებთან შეხვედრაში ჰეთ-თრიკიც შეასრულა.

მატჩი მესამე ადგილისთვის ბულგარელ და პოლონელ ჭაბუკებს შორის დამთავრდა ბულგარელთა გამარჯვებით — 2:0.

**ლევან ქავჟარაძე.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

**საქართველოს პირველობა**

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-40 ტურის შეხვედრები: „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:3, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:1, „დინამო“ (ზუგდიდი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:5, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:3, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1.

**ფეხბურთი**

# ნაკრების საერთაშორისო მატჩი

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრებმა ქ. ელ-კუვეიტში გასულ კვირას ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა კუვეიტის ნაკრებ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 (1:0). გოლები გაიტანეს: პროტასოვმა (45 წუთი) და ალეინიკოვმა (82).

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა მატჩი: ჩანოვი (ხარინი), გორლუკოვიჩი, შირინბეკოვი, კუზნეცოვი, დემიანენკო (ლიტოვჩენკო), ზივმანტოვიჩი, ნ. სავიჩევი (რაცი), ივანაუსკასი (ალეინიკოვი), მიხაილიჩენკო, პროტასოვი, ბელანოვი (ი. სავიჩევი).

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მინდვრიდან გააძევეს პროტასოვი და კუვეიტის ნაკრების ერთ-ერთი მცველი.

საინტერესოა, რომ კუვეიტის ნაკრების შემადგენლობაში 20 წუთი გამოდიოდა ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი, რომელიც აქ სტუმრად მიიწვია კუვეიტის ფეხბურთის ფედერაციამ.

# აშშ-ის მუდმივი ნაკრები

ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციამ შექმნა მუდმივმოქმედი ეროვნული ნაკრები, მისი უახლოესი ამოცანაა წარმატებით გამოვიდეს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. გარდა ამისა, დასახულია სხვა ამოცანაც: 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება, გუნდმა პირველ ოთხეულში დაიკავოს ადგილი.

ახალი ნაკრების შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრი ფეხბურთელები, გუნდი ყოველწლიურად ჩაატარებს 43-50 მატჩს. გუნდის კაპიტანმა რიკ დევისმა განაცხადა, რომ ეს მოვლენა ფაქტიურად გადატრიალებას ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ისტორიაში, ფედერაციას განზრახული აქვს თავისი ნაკრები ერთ-ერთ უძლიერესად აქციოს მსოფლიოში.

თვით რ. დევისი ვეტერანი ფეხბურთელია, რომელიც თავის დროზე ჩრდილოეთ ამერიკის საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „კოსმოსში“ გამოდიოდა პელესა და ბეკენბაუერთან ერთად. მას შემდეგ, რაც ლიგამ არსებობა შეწყვიტა და ამერიკელებმა გული აიცრუეს ფეხბურთზე, რ. დევისი განაგრძობდა ვარჯიშს, თამაშობდა მინიფეხბურთს და მაღალ ოსტატობასაც მიაღწია, იგი ამჟამად საუკეთესო ფეხბურთელია თავის ქვეყანაში.

— იმედი გვაქვს, რომ მომავალი სეზონიდან რეგულარულად ჩატარდება ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი, — განაცხადა მან. — უფრო აქტიურად ამოქმედდება ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია.

# რეტრო ყურადღებას იმსახურებს



**კარში** დასაწყისი საქმის ნახევარიაო. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა თბილისის „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსის რინგზე თვალს ვადევნებდით საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში შექმნილ ნორჩ მოკრივეთა სპეცკლასების საკავშირო პირველობის შეხვედრებს. პირველ ყოვლისა, ასპარეზობის მასპინძლებზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატობის კანდიდატებზე თენგიზ წკრიალაშვილსა (46 კგ) და გია ხიდაშელზე (52) უნდა შევჩერდეთ. თბილისის № 80 სასწავლებლის აღსაზრდელებმა თავიანთ მეგობარ ი. წიკლაურთან (70) ერთად პირველსავე დღეს დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეებს და ხელთ იგდეს ლიდერობა, დაუმარცხებლად განვლეს ორთაბრძოლები და ფინალში გავიდნენ. მათ არც დასკვნით ბრძოლებში შეურცხვენიათ თავი და დამსახურებულ გამარჯვებებს მიაღწიეს.

თ. წკრიალაშვილმა, რომელსაც თბილისის №8 სასწავლებლის მოწაფე ა. აკოფიანი ეცილებოდა პირველობას, მესამე რაუნდში გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ტაქტიკურად სწორედ ააგო ანგარსკელ ა. ვერეშაგინთან ფინალური შეხვედრა გ. ხიდაშელმა. იგი სამივე რაუნდის განმავლობაში საიერიშოდ იწვევდა მეტოქეს და დაუყოვნებლივ გადადიოდა კონტრშეტევაზე, რაშიც დიდ დახმარებას უწევდა ის, რომ ქართველი მოკრივე კარგად მოძრაობს რინგზე. სხვათა შორის, იყო დრო, როცა სწორედ ეს ილეთი გახლდათ ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა ერთ-ერთი მთავარი „იარაღი“. ამ ილეთით ისინი იმარჯვებდნენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელებზე და კარგია, რომ ამ ერთგვარმა რეტროსპექტივამ წარმატება მოუტანა ჩვენს მოკრივეს, რაც ყურადსაღები უნდა გახდეს სხვებისთვისაც. ამ გამარჯვებით „მეოთხმოცელებს“ მეორე საპრიზო ადგილზე



გასვლის შანსი გაუჩნდათ და მათ ხელიდან არ გაუშვიათ იგი. ი. წიკლაურმა ორჯერ ზედიზედ ნოკდაუნში გაგზავნა დონეცკელი მეტოქე კ. პოპოვი და გუნდს პოზიცია განუმტკიცა. ამას დაემატა რ. მიხაილოვის (66) მესამე საპრიზო ადგილი და №80 სასწავლებელი საკავშირო პირველობის მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლა (მწვრთნელები, სპორტის ოსტატები თამაზ კუჭავა და იური შეპეტკოვი). პირველი ადგილი კი ვოლგოგრადის №8 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის, ხოლო მესამე ანგარსკის №36 პროფსასწავლებლის აღსაზრდელებს ხვდათ წილად.

დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ ა. კაზიევი (44, ლენინგრადის ოლქი), ს. გუზოვი (48, ქ. რუბცოვსკი), ა. ვასინი (50, მოსკოვი), ა. ავდალიანი (54, თბილისის №75 სასწავლებელი), ი. ლიტოვკო (57, ვიტებსკი), ს. ეჟაკოვი (60, დონეცკი), დ. მაკაროვი (63, კუიბიშევი), ე. სავოტაევი (66, ანგარსკი), ი. კშინინი (74, ვოლგოგრადი), ს. კიოროგლო (79, მოსკოვი), ვ. ვართანიანი (+85, ვოლგოგრადი).

თბილისის № 75 სასწავლებლის მოწაფე ზ. ტალიაშვილი (57) მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო თბილისის №31 ა. ბეგიევი (60) და №6 პროფსასწავლებლის აღსაზრდელი ე. გრიგორიანი (60) მესამე პრიზიორები გახდნენ.

**ჰ. უნბიაძე.**

**ს უ რ ა თ ზ ე: თბილისში გამართული პროფტექნიკური სასწავლებლების მოკრივეთა სპეცკლასების საკავშირო პირველობის გამარჯვებული გ. ხიდაშელი ფინალური მატჩის რაუნდებს შორის. რინგზეა ა. ვერეშაგინ-გ. ხიდაშელის წყვილი.**

**ვ. ბუკინის ფოტო.**

## ევროპის ტურნირებში

**მიუნხენში** გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების კენჭისყრა. ჩემპიონთა თასის ფინალისტთა შორის მოასპარეზე ცსკა პირველ შეხვედრას ჩაატარებს მოსკოვში 8 დეკემბერს. ამ დღეს იგი იტალიის „სკავოლინის“ უმასპინძლებს (განმეორებითი მატჩი გაიმართება 2 თებერვალს).

საბჭოთა კალათბურთელების დანარჩენ შეხვედრათა განრიგი ასეთია: „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია); 17 დეკემბერს — მოსკოვში, 16 თებერვალს — სტუმრად; „ბარსელონა“ (ესპანეთი): 21 დეკემბერს — მოსკოვში, 23 თებერვალს — სტუმრად; „არისი“ (საბერძნეთი): 5 იანვარს — სტუმრად, 2 მარტს — მოსკოვში; „მაკაბი“ (ისრაელი): 12 იანვარს — მოსკოვში, 9 მარტს — სტუმრად; „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია): 19 იანვარს — სტუმრად, 14 მარტს — მოსკოვში; „ლიმოჟი“ (საფრანგეთი): 25 იანვარს — სტუმრად, 22 მარტს — მოსკოვში.

გადამწყვეტი შეხვედრები ოთხი უძლიერესი გუნდის მონაწილეობით გაიმართება მიუნხენში 4-6 აპრილს.

კაუნასის „ჟალგირისი“, როგორც ცნობილია, თასების მფლობელთა თასზე ასპარეზობს. აქ ტურნირის მონაწილე რვა კოლექტივი ორ ოთხეულადაა დაყოფილი. ლიტველი კალათბურთელები მეორე ჯგუფში იასპარეზებენ და შეხვდებიან: აეკ-ს (საბერძნეთი): 6 დეკემბერს — კაუნასში, 17 იანვარს — სტუმრად; „ციბონას“ (იუგოსლავია): 13 დეკემბერს — სტუმრად, 24 იანვარს — კაუნასში, „სტეინერს“ (გფრ): 10 იანვარს — სტუმრად, 31 იანვარს — კაუნასში.

შემდგომში ბრძოლას ნახევარფინალური წყვილები გააგრძელებენ. ეს შეხვედრები ჩატარდება 14 და 21 თებერვალს. ფინალური მატჩი გაიმართება 14 მარტს ათენში ან სალონიკში.

კორაჩის თასზე მოასპარეზე კიევის „სტროიტელი“ მოხვდა ჯგუფში, სადაც გამოდიან: „ვივა“ (იტალია), „დირექტბანკა“ (ჰოლანდია) და „ორტეზი“ (საფრანგეთი). ჩვენი გუნდის თამაშების გრაფიკი ასეთია: ჰოლანდიელებთან: 7 დეკემბერს — კიევში და 18 იანვარს — სტუმრად; იტალიელებთან: 14 დეკემბერს — სტუმრად, 25 იანვარს — კიევში; ფრანგებთან: 11 იანვარს — კიევში, 1 თებერვალს — სტუმრად.

ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 15 და 22 თებერვალს. გამარჯვებული გუნდი ორი ფინალური მატჩის შემდეგ გამოვლინდება, რომლებიც ჩატარდება 16 და 22 მარტს.

# ამერიკელები, ფირა და... რეგბის ოლიმპიური პერსპექტივა

**საბჭოთა** კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა დიალოგმა მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოს სპორტული კონტაქტებიც გააღრმავა. ამის მანიშნებელია თუნდაც კეთილი ნების თამაშების დაწესება ანდა ამერიკელ პროფესიონალ კალათბურთელთა სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში. სპორტული შეჯიბრება კი, როგორც მოგეხსენებათ, ურთიერთგაცნობისა და დაახლოების ნაცადი საშუალებაა. უთუოდ ამიტომაც იყო, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მოსკოვში გამომგზავრების წინ გზა რომ დაულოცა და წარმატება უსურვა „არწივებს“ — აშშ-ის მოყვარულ რეგბისტთა ნაკრებს, რომელიც სექტემბერში „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის მეორე გათამაშებაში მონაწილეობდა.

ამერიკელი რეგბისტები ამ შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას პირველი კლასის თამაშს ჩვენი რეგბის სპეციალისტები მაინც არ ელოდნენ. მოსკოვში ამერიკელებმა „თამაშ-თამაშ“ დაამარცხეს საბჭოთა კავშირის მეორე და რუმინეთის ნაკრებები, შთამბეჭდავად გაიმარჯვეს შვიდკაციანი რეგბის ორდღიან შეჯიბრებაშიც და მხოლოდ ტურნირის ბოლო მატჩში, უაღრესად დაძაბული და ლამაზი ბრძოლის შემდეგ, დამარცხდნენ ჩვენს პირველ ნაკრებთან (16:31), რომელმაც, საყოველთაო აზრით, იმ დღეს საბჭოთა რეგბის ისტორიაში საუკეთესო მატჩი ითამაშა.

მსოფლიო რეგბის სარბიელზე ამერიკელთა სწრაფი წინსვლა მრავლისმეტყველია. საქმე ისაა, რომ თამაში, რომლის საფუძველზეც XIX საუკუნის დამლევს აღმოცენდა ამერიკული ფეხბურთი, შტატებში დიდხანს დაუმსახურებლად იყო მივიწყებული. თვით 1920 და 1924 წლებშიც კი, როცა ამერიკელები რეგბისტთა ოლიმპიურ ტურნირებში იმარჯვებდნენ, მათი გუნდები ერთიანად ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. ამიტომ რეგბი ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფაქტიურად, ხელმეორედ დაიბადა. თანდათან მატულობდა მოთამაშეთა, კლუბთა, შეჯიბრებათა რაოდენობა. 70-იანი წლების დამდეგისთვის გუნდები უკვე ორმოცდაათსავე შტატსა და ყველა დიდ უმაღლეს სასწავლებელში ჩამოყალიბდა. შეიქმნა ოთხი რეგიონალური კავშირიც: აღმოსავლეთის, შუა დასავლეთის, დასავლეთისა და წყნარი ოკეანის სანაპიროსი, 1975 წლის ივნისში კი ჩიკაგოში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე ეს ოთხი ორგანიზაცია აშშ-ის რეგბის კავშირად გაერთიანდა. დღესდღეობით შეერთებულ შტატებში ვაჟთა და ქალთა 1500 რეგბის კლუბია, რომლებშიც 100 ათასზე მეტი მოთამაშე ირიცხება. ყოველწლიურად ეწყობა ქვეყნის ჩემპიონატები კლუბებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებსა და სამხედრო ნაწილებს შორის.

აშშ-ის რეგბის კავშირის შექმნისთანავე ამერიკელი რეგბისტები მსოფლიო სარბიელზე გავიდნენ. ავსტრალიელთა გამოწვევის პასუხად ამერიკელებმა „არწივები“ შეკრიბეს და 1976 წლის იანვარში მათთან პირველი ტესტ-მატჩიც გამართეს. 1977 წლიდან კი, კანადელთა თაოსნობით, ყოველწლიურად ეწყობა აშშ — კანადის მატჩები. გარდა ამისა, ამერიკელები სხვადასხვა დროს სწვევიან ინგლისს,



ავსტრალიას, იაპონიას, უელსს, შარშან კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო თასის 16 მონაწილეს შორისაც იყვნენ.

მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენებიდან ამერიკული რეგბისათვის ყველაზე საგულისხმოდ მაინც სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციაში (ფირა) შესვლა უნდა მივიჩნიოთ. წელს მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში გამართულმა ფირა-ს ყოველწლიურმა კონგრესმა აშშ და ტაივანი თავის სრულუფლებიან წევრებად მიიღო. ამით ფირა-ს წევრი ქვეყნების რიცხვმა 40-ს გადააჭარბა. უეჭველია, ამერიკელთა შესვლა ფირა-ში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტს ბევრად აამაღლებს. ამერიკელებიც, ალბათ, ძლიერ ზეგავლენას მოახდენენ ფირა-ს გადაწყვეტილებებზე: საქმე ისაა, რომ კლუბების სიმრავლის გამო ფირა-ს კონგრესებზე აშშ-ის დელეგაციას 19 ხმა ექნება, მაშინ, როცა საფრანგეთს 24 ხმა აქვს, საბჭოთა კავშირს კი მხოლოდ 7 (300 კლუბის ყოლისთვის).

დიდი გეგმები აქვთ თავად ამერიკელებსაც. ისინი გაისადვე ჩაებმებიან ფირა-ს ჭაბუკთა პირველობაში, რომელიც პორტუგალიაში მოეწყობა. „არწივები“ გაისადვე ეწვევიან ევროპას და ფირა-ს ჩემპიონატის „ა“ ჯგუფის წევრებთან (საფრანგეთი, სსრ კავშირი, რუმინეთი, იტალია, ესპანეთი) ტესტს-მატჩებს გამართავენ, მომავალში კი აპირებენ ფირა-ს ჩემპიონატის ახალი ჯგუფი შეადგინონ, სადაც მათ გარდა კანადის, არგენტინისა და ჩილეს გუნდებიც გაერთიანდებიან. აშშ-ის რეგბის კავშირის პრეზიდენტ ბობ ვოთქინსს სურს, ამ ჯგუფის ორი გამარჯვებული უძლიერესის გამოსავლენად ფირა-ს ჩემპიონატის ორ ლიდერს შეაჯიბროს.

ამერიკელთა გეგმები, საბედნიეროდ, ფირა-ს ხელმძღვანელობის სადღეისო ზოგად კურსს ემთხვევა. რეგბის საერთაშორისო საბჭოსაგან (ირბ) განსხვავებით, რომელიც მხოლოდ რვა ქვეყანას აერთიანებს, ადგენს თამაშის წესებს, მაგრამ, მსოფლიო თასის გათამაშების შემოღების მიუხედავად, „დანარჩენ მსოფლიოში“ რეგბის განვითარებისთვის მაინცდამაინც არ ზრუნავს, ფირა აქტიურად იღვწის ოლიმპიადების პროგრამაში რეგბის დასაბრუნებლად. კასაბლანკას კონგრესზე მისმა ვიცე-პრეზიდენტმა, მაროკოელმა მუჰამედ ბენჯელუნმა, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში (სოკ) დღესდღეობით ნომერ მეორე მოღვაწედ ითვლება, სოკ-ის მიერ რეგბის მსოფლიო ორგანიზაციად ფირა-ს ცნობის მთელი პროგრამა დასახა. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, ფირა-მ რაიმე ფორმით (თუნდაც მათთვის მოწინავე პოზიციის დათმობის ფასად) თავის რიგებში უნდა მიიღოს ირბ-ის წევრი ქვეყნებიც. გარდა ამისა, ბენჯელუნს 1992 წლის თამაშებზე, ბარსელონაში, რეგბისტთა საჩვენებელი მატჩის მოწყობაც განუზრახავს.

ოლიმპიადებზე დაბრუნების გარდა, ფირა ამერიკელთა თანადგომით ცდილობს რეგბი პანამერიკული თამაშების პროგრამაშიც შეატანინოს. გარდა ამისა, ფირა-მ ბოლო კონგრესზე დაადგინა, თამაშის მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად და 1991 წლის მსოფლიო თასისათვის შესარჩევი შეჯიბრებების მოსაწყობად შექმნას ოთხი რეგიონალური ჯგუფი — ევროპაში, აფრიკაში, ამერიკაში, წყნარი ოკეანის აუზში; აგრეთვე უხელმძღვანელოს ქალთა რეგბის განვითარებასაც.

## ოთხი ფინალისტი

**დასასრულს უახლოვდება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები.**

**მეორე ჯგუფი.** გაიმართა ერთი მატჩი. იუგოსლავიელებმა დაამარცხეს გფრ-ის გუნდი — 116:78 (57:39) და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ამ ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: იუგოსლავია — 5 ქულა (6 მატჩის შემდეგ), ბულგარეთი — 4 (5), გფრ — 1 (6), შვეცია — 1 (5). ჩასატარებელი დარჩა ერთი მატჩი (ბულგარეთი — შვეცია).

ბრძოლას ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისთვის იუგოსლავიელებთან ერთად გააგრძელებენ ბულგარელები.

**მესამე ჯგუფი.** იტალია — უნგრეთი 104:56 (58:21). აქ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: იტალია — 5 (5), ესპანეთი — 4 (5), შვეიცარია — 1 (5), უნგრეთი — 0 (5). ჯგუფში ჩასატარებელი დარჩა ორი მატჩი (იტალია — ესპანეთი და უნგრეთი — შვეიცარია), მაგრამ ფინალისტთა ვინაობა აქაც უკვე ცნობილია. ესენი არიან იტალიისა და ესპანეთის კალათბურთელები.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩიჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მერთვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზინულო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05601